

შპს ალმი ჯორჯია

სკ 206202401

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)
შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 25 სექტემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
შემოსავლისა და ხარჯების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7- 10

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	შენიშვნა
ფულადი სახსრები	2 474 713	2 038 006	1
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 473 753	1 734 125	2
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები			
მარაგები	1 863 484	1 439 965	
სულ მიმდინარე აქტივები	5 811 951	5 212 096	
ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა	9 056	11 896	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 513	7 237	
სატრანსპორტო საშუალებები	317 049	365 925	
სულ ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	331 618	385 058	3
სულ გრძელვადიანი აქტივები	331 618	385 058	
სულ აქტივები	6 143 568	5 597 154	
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2 887	203 882	
მიღებული ავანსები	119 203		
გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებები		11 883	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
სულ მიმდინარე ვალდებულებები	122 090	215 765	4
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	122 090	215 765	
სულ ვალდებულებები	122 090	215 765	
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1 148 844	1 148 844	
გაუნაწილებელი მოგება	4 872 634	4 232 545	
დაუფარავი ზარალი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი			
სულ საკუთარი კაპიტალი	6 021 478	5 381 389	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6 143 568	5 597 154	

გენერალური დირექტორი



ლარისა ბოჭორიშვილი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შემოსავლისა და ხარჯების ანგარიშგება

	2024 წ	2023 წ
საოპერაციო შემოსავალი		
შემოსავალი რეალიზიციიდან	8 288 765	7 631 619
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	-2 080	-810
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავლები	101 416	62 414
ძირითადი აქტივებიდან შემოსული შემოსავალი		45 150
შემოსავლები კურსთაშორისი სხვაობა	21 815	28 070
სულ საოპერაციო შემოსავლები	8 409 917	7 766 443
საოპერაციო დანახარჯები		
გაყიდული/შემენილი საქონელი	-5 463 207	-4 596 846
შრომის ანაზღაურება	-1 132 056	-1 082 468
სხვა საერთო ხარჯი	-105 035	-54 179
ოფისის იჯარა	-86 667	-86 667
დაზღვევა	-68 182	-64 071
საწყობის იჯარა	-61 877	-49 116
ცვეთა და ამორტიზაცია	-54 905	-48 456
ტრანსპორტის იჯარა	-37 563	-37 688
სადღესასწაულო საჩუქრებზე გაწეული ხარჯი	-29 884	-47 215
საკონსულტაციო ხარჯები	-28 794	-16 753
კომუნიკაციის ხარჯები	-16 627	-17 588
დამოუკიდებელი ანგარიში	-9 777	-8 505
მანქანის საექსპლუატაციო ხარჯი	-8 240	-10 310
რეკლამის ხარჯი	-4 131	-720
ქონების გადასახადი.	-3 583	-2 545
საწყობის ხარჯები	-1 691	-668
საკანცელარიო ხარჯები	-1 011	-1 083
საოფისე წვრილმანი/სადეზინფექციო საშუალებები	-604	-2 088
სალარო აპარატის მომსახურება	-169	-102
საოფისე ინვენტარი	-105	-5 085
კომპიუტერის ხარჯები	-102	-2 290
საოფისე ინვენტარის და ფართის რემონტი		-28 498
სამეურნეო ხარჯი.		-1 210
ფინანსური დანახარჯები		
გაყიდ.ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებულება		-43 222
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	-63 306	-34 151
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-1 200	-1 200
საგადასახადო ხარჯი		-1 156
მოგება გადასახადებამდე	1 231 202	1 522 564
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	1 231 202	1 522 564

გენერალური დირექტორი



ლარისა ბოკორიშვილი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2024	2023
საოპერაციოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	2 038 006	254 639
შემოსავალიმიწოდებიდან და მომსახურებიდან (+)		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (+)	9 473 551	9 221 229
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ. ვალდებულებები(-)	-5 791 479	-4 576 033
გადახდილი ხელფასები(-)	-896 415	-852 400
გადახდილი გადასახადები(-)	-1 873 636	-1 707 490
ბანკის მომს. საკომისიო და სხვა საერთო ხარჯი	-20 810	-8 339
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	891 211	2 076 966
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
კაპიტალური დანახარჯები (-)	-1 464	-352 716
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-1 464	-352 716
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
მიღებული პროცენტები (+)	101 376	62 398
გადახდილი დივიდენდები (-)	-502 446	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-401 070	62 398
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-51 970	-3 282
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	2 474 713	2 038 006
ფულადი სახსრები და ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	436 707	1 783 368

გენერალური დირექტორი



ლარისა ბოჭორიშვილი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

I	ნაშთი საანგ პერიოდის წინა წლის 1 იანვრისთვის (01/01/2023)	3 858 825
1	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	
2	ძირითადი საშუალებების გადაფასება	
3	ინვესტიციების გადაფასება	
4	მოგება ზარალის ანგარიშში აუდიარებელი შემოსულობა ან ზარალი	
5	მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი	1 522 564
6	დარიცხული დივიდენდები	
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	
II	ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისთვის (01/01/2024)	5 381 389
1	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	
2	ძირითადი საშუალებების გადაფასება	
3	ინვესტიციების გადაფასება	
4	მოგება ზარალის ანგარიშში აუდიარებელი შემოსულობა ან ზარალი	
5	მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი	1 231 202
6	დარიცხული დივიდენდები	-591 113
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	
III	ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოსათვის (31/12/24)	6 021 478

გენერალური დირექტორი



ლარისა ბოჭორიშვილი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალმი ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საფირმო სახელწოდება: შპს ალმი ჯორჯია
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206202401
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 29/09/2005
მარეგისტრირებელი ორგანო: ქ. თბილისის საგ. ინსპექცია
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, გ. ერისთავი, 10
მმართველობის ორგანო: საერთო კრება, გენერალური დირექტორი
ხელმძღვ.-ბა/წარმომადგ.-ბა: გენერალური დირექტორი-ლარისა ბოჭორიშვილი,
01092002815 ერთპიროვნული
კაპიტალი: ნებადართული კაპიტალი არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი: არ არის განსაზღვრული

წილის მესაკუთრე; რაოდენობა; წილი;

შპს ალმი ექსპორტი, FN426408X /ავსტრია/ 100 100%

კომპანიის ძირითად სამეწარმეო საქმიანობას 2024 წელს წარმოადგენდა სურნელოვანი ნარევებით, საკვები დანამატებით საბითუმო ვაჭრობას, ასევე ხორცის გადამამუშავებელი დანადგარებით, სათადარიგო ნაწილებით და სხვა სახარჯი მასალებით ვაჭრობას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

მარაგები. მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვების დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება მარაგების შეფასება გაუფასურების გამოსავლენად. იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და მოგებაში ან ზარალში დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცვლელი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს სარგებელს. სარემონტო და ტექმომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა.

აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგ საზღვრებში:

მანქანა დანადგარები - 5 -10 წელი

ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 - 10 წელი

სატრანსპორტო საშუალება - 10 - 15 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო სააღრიცხვო თარიღის შემდგომ.

აქტივების საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ასანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სავაჭრო ვალდებულება. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი.

მოგებიდან გადასახადი. მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგებისა გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომლისაგან აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გაიცა დივიდენდები, დივიდენდების გამოცხადების პერიოდის მიუხედავად.

2. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველით, რაც გულისხმობს აქტივების

რეალიზაციისა და ვალდებულებების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ

გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1 ფული და ექვივალენტები

	დასახელება	შესადარისი პერ		საანგარიშო პერ	
		დებ 01/01/2024	კრედ 01/01/2024	დებ 31/12/24	კრედ 31/12/24
1100	ნაღდი ფული საღაროში	2 783		3 099	
1200	ფული საბანკო ანგარიშებზე	2 035 223		2 471 614	

2 სავაჭრო მოთხოვნები

	დასახელება	შესადარისი პერ		საანგარიშო პერ	
		დებ 01/01/2024	კრედ 01/01/2024	დებ 31/12/24	კრედ 31/12/24
1400	მოკლევადიანი მოთხოვნები	1 734 125		1 473 753	

3 ძირითადი საშუალებები

ბალანსი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
საწყისი ღირებულება 01.01.2024	8 576	20 864	444 583	474 024
აკუმულირებული ცვეთა 01.01.2024	1 339	8 968	78 658	88 965
საბალანსო საწყისი ღირებულება 01.01.2024	7 237	11 896	365 925	385 058
საანგარიშო პერიოდის შემოსვლა		1 464		1 464
საანგარიშო პერიოდის გასვლა				-
საანგარიშო პერიოდის დარიცხული ცვეთა	1 724	4 305	48 876	54 905
საწყისი ღირებულება 31.12.2024	8 576	22 329	444 583	475 488
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2024	3 063	13 273	127 534	143 870
საბალანსო საბოლოო ღირებულება 31.12.2024	5 513	9 056	317 049	331 618

4 სავაჭრო ვალდებულებები

	დასახელება	შესადარისი პერ		საანგარიშო პერ	
		დებ 01/01/2024	კრედ 01/01/2024	დებ 31/12/24	კრედ 31/12/24
3000	მიმდინარე ვალდებულებები		215 765		122 090

გენერალური დირექტორი



ლარისა ბოჭორიშვილი